

GC აღმანახი

№2 / თებერვალი, 2020 წ.



სარჩევი

შესყიდვები რუსეთის შეიარაღებულ ძალებში - 2020 წლის გეგმა.....	3
„დიფენდერ 2020“	5
ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოში ახალი ელჩი ჰყავს	6
ნატო-მ საქართველოს მიერ წლიური ეროვნული პროგრამის შესრულება დადებითად შეაფასა...8	
„ბრექსითი“ - ახალი ერის დასაწყისი ევროკავშირისა და საქართველოსათვის.....	10
საქართველოში ფრანგულ-გერმანული მეგობრობის დღე აღინიშნა.....	11
„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მომავალი.....	13
ევროპის საბჭომ ახალგაზრდული სტრატეგია 2030 დაამტკიცა	15
ევროპის საბჭო დამრღვევი წევრისთვის ახალ მექანიზმს ამოქმედებს.....	16

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

შესყიდვები რუსეთის შეიარაღებულ ძალებში - 2020 წლის გეგმა

წყაროები:

[Какую технику получит армия России в 2020 году](#)

[Российская армия получит танки Т-90М в 2020 году](#)



ფოტო: ვლადიმერ სმირნოვი/ტასს

2020 წელს რუსეთის შეიარაღებულ ძალებში გამოჩნდება ახალი ავია გამანადგურებლები, დასრულდება ახალ ლაზერულ კომპლექსებზე მუშაობა, გაძლიერდება ქვეყნის ბირთული ფარი - ასე მოკლედ შეიძლება შეფასდეს 2020 წელს რუსეთის შეიარაღებულ ძალებში დაგეგმილი შესყიდვების შინაარსი. თუმცა, მნიშვნელოვანია, ზოგადად მიმოვიხილოთ დაგეგმილი შესყიდვების ძირითადი მიმართულებები.

სტრატეგიული დანიშნულების ბირთვულ ძალებში დაგეგმილია „Ярс“-ის და „Авангард“-ის ბალისტიკური რაკეტების 22 გამშვები დანადგარის მიღება. ამის გარდა კიდევ სამი პოლკი გადაიარაღდება „Ярс-С“ მობილური ბაზირების სარაკეტო კომპლექსებით. ასევე, მიმდინარეობს სამუშაოები ახალი სარაკეტო სისტემის გამოსაცდელად, რომელიც შეიარაღებულია საკონტინენტთაშორისო რაკეტით „Сармат“.

ასევე, იგეგმება მოდერნიზაციაში მყოფი სტრატეგიული რაკეტები Ty-95MC-ის სამუშაოების დასრულება.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში უნდა ჩადგნენ სტრატეგიული დანიშნულების 955А “Борей-А“-ის წყალქვეშა კრეისერი და ამავე სერიის პირველი სერიული კრეისერი „Князь Олег“.

გეგმის მიხედვით, სწორედ 2020 წელს უნდა დაიწყოს მეხუთე თაობის გამანადგურებლის Су-57-ის პირველი მიწოდება საჰაერო ძალებისათვის. გარდა ამისა, 2020 წელს იგეგმება "4++" თაობის Су-35С ტიპის ავიაგამანადგურებლების მიღება, სულ 18 ერთეულის, რომელთაც მოძველებული МиГ-29-ის ტიპის აპარატები უნდა ჩაანაცვლონ.

გარდა ამისა, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მიწოდებაც გაგრძელდება. მორიგებაზე დადგება С-400 "Триумф"-ის 4 პოლკი და „Панцирь“-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემების 6 დივიზიონი.

ეს წელი შეიძლება რეკორდული იყოს რუსეთის ფლოტისათვის წარმოებაში და გამოცდაში ჩაშვებული სხვადასხვა კლასისა და ტიპის საზღვაო ხომალდების რაოდენობით. სულ საუბარია 22 ერთეულზე.

სახმელეთო ძალების სხვადასხვა სახეობებში სულ დაგეგმილია 565 ერთეული თანამედროვე ჯავშანმანქანისა და 436 სარაკეტო-საარტილერიო კომპლექსის მიწოდება, ასევე „Бук-М3“-ის ორი დივიზიონის.

მოსალოდნელია ჯავშანსატანკო ტექნიკის 300 ერთეულის მიღებაც, მათ შორის ტანკების Т-72В3М, Т-80ВВМ-ის და ავტონომიური საბრძოლო მოდულების მქონე ჯავშანმანქანების БТР-82А/АМ, БМП-3 ის მიღებაც. დაიწყება ახალი სერიული მოდელის ტანკების Т-90М-ის მიწოდებაც. არსებული ინფორმაციით, წლის დასაწყისში უნდა მოხდეს ახალი ტანკების Т-14 "Армата" პირველი საწარმოო პარტიის მიღებაც.

ამასთან ერთად, მოხდება სახმელეთო ძალების რეაქტიული და თვითმავალი არტილერიით გეგმიური აღჭურვის პროცესის გაგრძელებაც. გაგრძელდება კავშირგაბმულობისა და სხვა სპეციალური სისტემების მიწოდებაც.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ წელს დაიწყება მომზადება ახალი სახელმწიფო გადაიარაღების პროგრამაზე სამუშაოდ, რომელიც 2033 წლამდე იქნება გათვლილი.

ჯამში, 2020 წელს დაგეგმილი შესყიდვები და მიწოდებები აქამდე მიღებული სახელმწიფო გეგმის ჩარჩოებში რჩება და, თავდაცვის მინისტრის თქმით, მიმართულია შეიარაღებულ ძალებში თანამედროვე სისტემებით აღჭურვის 70%-იანი ნიშნულის შენარჩუნებისკენ.

„დიფენდერ 2020“

წყაროები:

<https://www.eur.army.mil/Portals/19/documents/DEFENDEREurope/DEFENDEREuropeFactSheet200114.pdf>

https://rmx.news/article/article/defender-europe-2020-program-starts-next-week?fbclid=IwAR2-ErQCz0mNSjZCuHCNfMjzsbfe6bVWVRjrwn-0WnTLz_SwjTSJmbjWrk



რუსეთისგან მომდინარე საფრთხეების შესახებ დასავლეთში არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, გრძელდება აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს წევრი, მოკავშირეების და პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით სხვადასხვა სახის სწავლებები, რომლებიც მიმართულია აღნიშნულ რეგიონში თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებისა და ურთიერთ თავსებადობის გაზრდისაკენ. სწორედ აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, ბოლო 25 წლის მანძილზე ყველაზე მსხვილი ამერიკული კონტიგენტის გადასროლა მოხდება სწავლების ფარგლებში, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გაიმართება. ერთობლივი მანევრები გერმანიაში, პოლონეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და საქართველოში გაიმართება და მასში დაახლოებით 37 000 ჯარისკაცი მიღებს მონაწილეობას.

მანევრები ჯამში 18 სახელმწიფოს გააერთიანებს და მასში მხოლოდ აშშ-დან 20 000 ჯარისკაცი ჩაერთვება. ამერიკული ჯავშან ტექნიკა, რომელიც რამდენიმე ათას სხვადასხვა ტიპის საშუალებებს აერთიანებს და მასთან ერთად აღჭურვილობის 13 000 სხვადასხვა ერთეული, გერმანიისა და დანიის პორტების გავლით, რკინიგზის საშუალებით გადაყვანილი იქნება ბალტიისპირეთსა და პოლონეთში.

აღსანიშნავია, რომ, გეგმის მიხედვით, აღნიშნული ტექნიკის ტრანსპორტირება ითვალისწინებს ევროპაში გზებისა და კომუნიკაციების არსებულ გამტარუნარიანობას და მაქსიმალურად თავიდან იქნება აცილებული საცობები და ჩვეულებრივი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებაში შეფერხებები.

სწავლებები, სადაც საქართველოს მხარდამჭერი მისია აკისრია და მოწინააღმდეგე ძალების როლს შეასრულებს, ივნისში დასრულდება.

ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოში ახალი ელჩი ჰყავს

წყარო: <https://ge.usembassy.gov/ambassador-degnans-swearing-in-remarks-january-16/>



[1https://ge.usembassy.gov/ambassador-degnans-swearing-in-remarks-january-16/](https://ge.usembassy.gov/ambassador-degnans-swearing-in-remarks-january-16/)

2020 წლის 16 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა ელჩმა, კელი დეგნანმა ფიცი დადო. ფიცის დადების ცერემონიაზე მან სიტყვა წარმოთქვა. ნიშანდობლივია, რომ კელი დეგნანმა თავისი სიტყვის შესავალ ნაწილში ქართულ სტუმართმოყვარეობაზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა. მან ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩს დავით ბაქრაძეს მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა.

ახალმა ელჩმა ისაუბრა მის უცვლელ, მუდმივ მოტივაციაზე დაეხმაროს ამერიკის შეერთებულ შტატებს უკეთესი მსოფლიოს შენებაში.

26 წლისა და რვა ქვეყანაში 12 მისიის შემდეგ, კელი დეგნანი კვლავ დარწმუნებულია, რომ ამერიკას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი აქვს მთელ მსოფლიოში ხალხთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და უკეთესი მომავლის შექმნის საქმეში. მან ყურადღება გაამახვილა იმ ღირებულებებისადმი ერთგულებაზე, რომლებიც გრძელვადიანი დემოკრატიის საფუძველია: პატივისცემა, ტოლერანტობა, პატიოსნება, სამართლიანობა და თავისუფლება. მას სჯერა, რომ დემოკრატია ადამიანებისთვის უდიდესი თავისუფლება და შესაძლებლობები მოაქვს. მისი განმარტებით, ზოგჯერ ის უწესრიგია, ზოგჯერ არაპროგნოზირებადი. თუმცა, ასევე, კელი დეგნანი ეთანხმება ჩერჩილს იმაში, რომ დემოკრატია მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმაა, თუ არ ჩავთვლით ყველა დანარჩენს.

კელი დეგნანისთვის განსაკუთრებული პატივია, რომ საქართველოში აშშ-ის ელჩად შეარჩიეს. მისი თვალთახედვით, საქართველო არის ქვეყანა, რომელიც იზიარებს ამერიკის სიყვარულს თავისუფლებისა და დემოკრატიისადმი. „ამერიკის მსგავსად, საქართველომაც იბრძოლა დამოუკიდებლობის მისაღწევად – ეს რთულად მოპოვებული დამოუკიდებლობა რუსეთის გამო საფრთხის ქვეშ რჩება. ახლა ერთად ვიბრძვით ნატო-ს „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში, რათა დავეხმაროთ ავღანელებს დაიცვან თავიანთი თავისუფლება და ააშენონ თავიანთი დემოკრატია“ - დასძენს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ელჩი.

კელი დეგნანი გამოხატავს მზადყოფნას, ხელი შეუწყოს ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე თანამშრომლობას საქართველოსთან და განსაკუთრებით გამოყოფს შემდეგ სფეროებს: დემოკრატიის განვითარება, ვაჭრობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება. ასევე, ის ხაზს უსვამს ერთობლივი წვრთნებითა და სწავლებებით საქართველოს უნარიანობის გაძლიერებას, რათა დაიცვას საკუთარი საზღვრები. ეს ცხადჰყოფს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე მხარდაჭერას.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა ელჩმა თავის გამოსვლაში ისაუბრა USAID-ის პროგრამებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას და მხარს უჭერენ ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას. ასევე, მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა და საქართველოს შორის თანამშრომლობა, რაც უზრუნველყოფს უკეთესი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნას, განსაკუთრებით, ზუსტი მეცნიერებების, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებებით. ამასთანავე, მან C ჰეპატიტის აღმოფხვრის მასშტაბურ პროგრამაზეც გაამახვილა ყურადღება.

ნიშანდობლივია, რომ კელი დეგნანმა საქართველოს მომავალზე პოზიტიურ კონტექსტში ისაუბრა და საქართველოს მიღწევებზე მიაჩნა ომის, ოკუპაციის, ეკონომიკური ემბარგოებისა და მტრული, აგრესიული მეზობლის მიუხედავად. მან დასძინა, რომ ქართველებმა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ფუნქციურ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ აქციეს, რაც მარტივი არ არის. საქართველომ შთამბეჭდავ პროგრესს მიაღწია ბიზნესის კუთების სიმარტივით, კორუფციასთან ბრძოლითა და დემოკრატიის მხარდასაჭერად აუცილებელი ინსტიტუტების მშენებლობით.

ახალმა ელჩმა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობაზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა. მან აღნიშნა, რომ საპარლამენტო არჩევნები შესაძლებლობაა ქართველებისთვის, აჩვენონ მსოფლიოს, რომ ის პროგრესი, რომლისთვისაც ამდენი იშრომეს, შეუქცევადია.

კელი დეგნანმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოსთან ვრცელი სამუშაო გეგმა აქვს და ბევრს ელიან ქართველი მეგობრებისგან. მან დასძინა, „ქართველებმა გვაჩვენეს, რომ აქვთ შეუპოვრობა და მხნეობა იმ დემოკრატიული პროცესების დასაცავად და საჭირო რეფორმების გასატარებლად, რომლის დამკვიდრებისთვისაც ამდენი იშრომეს.“

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ელჩის კელი დეგნანის მიერ ფიცის დადების ცერემონიაზე წარმოთქმული სიტყვა ცხადჰყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საქართველო რეგიონში სტრატეგიული პარტნიორია.

ამერიკას აქვს ძლიერი მოტივაცია, გააღრმავოს სტრატეგიული თანამშრომლობა საქართველოსთან და დაეხმაროს მას ტრანსფორმაციის, რეფორმირების პროცესში, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი ევროატლანტიკური მისწრაფებებისთვის.

ნატო-მ საქართველოს მიერ წლიური ეროვნული პროგრამის შესრულება დადებითად შეაფასა

წყაროები:

<http://mfa.gov.ge/News/nato-saqartvelos-komisiam-maqali-shefaseba-misca-c.aspx?CatID=5>

https://www.nato.int/cps/en/natohq/photos_172896.htm



<http://mfa.gov.ge/News/nato-saqartvelos-komisiam-maqali-shefaseba-misca-c.aspx?CatID=5>

2020 წლის 23 იანვარს, ქ. ბრიუსელში, ალიანსის შტაბ-ბინაში, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა. შეხვედრაზე ქართულ მხარეს წარმოადგენდა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ვახტანგ მახარობლიშვილი და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ქეთევან ციხელაშვილი.

ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე პოზიტიურ კონტექსტში განიხილეს საქართველოში განხორციელებული რეფორმები დემოკრატიის, ეკონომიკისა და თავდაცვის მიმართულებებით. შესაბამისად, საქართველოს მიერ წლიური ეროვნული პროგრამის შესრულება დადებითად შეფასდა.

მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ვითარებაზე. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა შემოფოთება გამოთქვა მცოცავი ოკუპაციისა და აღნიშნულ რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების გამო.

მოკავშირეებმა აღნიშნეს, რომ ნატო ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების ერთგული რჩება, რაც გულისხმობს იმას, რომ საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გახდება. ამასთანავე, ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ საქართველოს ნატო-ში გასაწევრიანებლად ყველა პრაქტიკული მექანიზმი გააჩნია. ასევე, მხარეებმა შეხვედრაზე საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის დინამიკა განიხილეს და ნატო-საქართველოს პოლიტიკური დიალოგის გაღრმავებაზე იმსჯელეს.

ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის დაწყებამდე საქართველოს დელეგაციამ ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილესთან, მირჩა ჯოანესთან შეხვედრა გამართა. მხარეებმა ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული საკითხები და თანამშრომლობის სამომავლო პრიორიტეტები განიხილეს.

ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე საქართველოს მიერ წლიური ეროვნული პროგრამის შესრულების პროცესის დადებითად შეფასება და კვლავ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებისადმი ერთგულების გამოხატვა მნიშვნელოვანი პოზიტიური გზავნილია ბრიუსელიდან საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის.

ლიკა ჭიპაშვილი, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

„ბრექსითი“ - ახალი ერის დასაწყისი ევროკავშირისა და საქართველოსათვის

2020 წლის 31 იანვარს, ევროკავშირის 70 წლიანი არსებობის მანძილზე უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა - წევრმა სახელმწიფომ, გაერთიანებული სამეფოს სახით, ევროპის



კავშირი ოფიციალურად დატოვა. გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან ფორმალურად გასვლის შემდეგ დაიწყო ე.წ. გარდამავალი პერიოდი, რომელიც მინიმუმ მომავალი 11 თვე, მაქსიმუმ კი 2022 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელდება. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში გაერთიანებული სამეფო ევროკავშირის რეგულაციებს დაექვემდებარება, თუმცა, მას აღარ ექნება

ევროპულ ინსტიტუციებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება.

ევროკავშირთან 47 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, გაერთიანებული სამეფოს ევროპული კავშირის დატოვებას საფუძვლად დაედო 2016 წელს ჩატარებული რეფერენდუმი, სადაც ბრიტანელთა 52%-მა მხარი ე.წ. „ბრექსითს“ დაუჭირა. ბრიტანელი ხალხის უმრავლესობის სურვილის ასრულებას სამწელიწადნახევარი დასჭირდა, რასაც თან სდევდა მწვავე შიდა პოლიტიკური პროცესები, მრავალჯერ ჩაშლილი მოლაპარაკებები ევროკავშირსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის და დიდი ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენის მომხრეთა საპროტესტი აქციები.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა „ბრექსითს“ არა დასასრული, არამედ დასაწყისი [უწოდა](#) „ეროვნული აღორძინების“ და „ევროკავშირთან ახალი მეგობრული ურთიერთობისა“.

რაც შეეხება თავად ევროკავშირს, „ბრექსითი“ სამწუხარო ფაქტად, თუმცა, ევროპისთვის ახალი განთიადის დასაწყისად [შეაფასეს](#) ევროპული კომისიის, ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს პრეზიდენტებმა.

ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გასვლა ორივე მხარისთვის მთელ რიგ გამოწვევებთან და ამავდროულად, ახალ პერსპექტივებთან ასოცირდება. მათ შორის, არსებითია თავად გაერთიანებული სამეფოს მომავლის საკითხი. „ბრექსითი“ გაერთიანებული სამეფოს დაშლის დასაწყისადაც შეიძლება იქცეს, თუ გავითვალისწინებთ შოტლანდიის პირველი მინისტრის ნიკოლა სტურჯეონის [განცხადებას](#), რომლითაც ის გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლას გამოეხმაურა. იქედან გამომდინარე, რომ შოტლანდიელთა უმრავლესობა „ბრექსითის“

წინააღმდეგი იყო და რჩება, ნიკოლა სტურჯეონმა თავის გამოსვლაში შოტლანდიის დამოუკიდებლობისა და ამ მიზნით, რეფერენდუმის ჩატარების საკითხზე გაამახვილა ყურადღება.

თავის მხრივ, ევროკავშირი გაერთიანებული სამეფოს მისი შემადგენლობიდან გასვლით მნიშვნელოვან ქვეყანას კარგავს ეკონომიკური თუ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. თუმცა, პოლიტიკურ ჭრილში, „ბრექსითი“ ევროკავშირისთვის, ისევე როგორც საქართველოსთვის, დადებით მოვლენად უნდა განვიხილოთ. ერთის მხრივ, იგი ევროპული პროექტის იდეის პროგრესირების შესაძლებლობას შეიძლება ნიშნავდეს გაერთიანების შიდა რეფორმირების კუთხით, რაც „ფრანგულ-გერმანული წყვილის“ იმ ურთიერთანამშრომლობის გაძლიერების გარდაუვალობაზე მიანიშნებს, რასაც ისტორიულად ყოველთვის პროგრესული შედეგი მოჰქონდა ევროკავშირისთვის მისი განვითარების გადამწყვეტ მომენტებში; მეორეს მხრივ კი, „ბრექსითი“ ევროკავშირში ბუნებრივად ასათვისებელ სივრცეს ტოვებს ახალი წევრების მისაღებად. ეს უკანასკნელი საქართველოსთვის, ქართველი ხალხის ევროპული მისწრაფებიდან გამომდინარე, არსებითად მნიშვნელოვანია. ამასთან, საყურადღებოა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ჯოზეფ ბორელისა და გაერთიანებულ სამეფოსთან ურთიერთობების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის, მიშელ ბარნიეს ერთობლივი [განცხადება](#), სადაც საქართველო ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებს შორის ცალკე არის გამოყოფილი და ხაზგასმითაა აღნიშნული ევროკავშირის მზაობა საქართველოსთან ასოცირების შესახებ შეთანხმებების გაგრძელების თაობაზე.

აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „ბრექსითის“ შემდეგ, საქართველოს გაერთიანებულ სამეფოსთან, როგორც ერთ-ერთ ლიდერ გეოპოლიტიკურ აქტორთან, ორმხრივი ურთიერთობების მეტად გაძლიერების ძალიან კარგი საშუალება ეძლევა, თუ გავითვალისწინებთ ორ ქვეყანას შორის უკვე [გაფორმებულ](#) შეთანხმებას სტრატეგიული პარტნიორობის თაობაზე, რომელიც გაერთიანებულმა სამეფომ, რიგით პირველად, ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რეგიონში, სწორედ საქართველოსთან გააფორმა.

საქართველოში ფრანგულ-გერმანული მეგობრობის დღე აღინიშნა

მიმდინარე წლის 22 იანვარს, საქართველოს დედაქალაქში ფრანგული-გერმანული დღე აღინიშნა. საფრანგეთისა და გერმანიის სახელმწიფოები ფრანგულ-გერმანული მეგობრობის დღეს ტრადიციულად ყოველ წელს აღნიშნავენ მსოფლიო მასშტაბით.



აღნიშნული ეფუძნება 1963 წლის 22 იანვარს ორ ქვეყანას შორის გაფორმებულ „ელისეის ხელშეკრულებას“. წელს ამ ხელშეკრულების 57-ე იუბილესთან ერთად, ასევე აღინიშნა საფრანგეთსა და გერმანიას შორის გასულ წელს ხელმოწერილი „აახენის შეთანხმების“

ერთი წელი. ზეიმის ფარგლებში, საქართველოში გერმანიისა და საფრანგეთის საელჩოების წარმომადგენლები თბილისის სკოლებს ეწვივნენ და იმ ქართველ მოსწავლეებს შეხვდნენ, რომლებიც ფრანგულ და გერმანულ ენებს ეუფლებიან.

საერთაშორისო თანამეგობრობის ისტორიაში ფრანგულ-გერმანულ მეგობრობას გამორჩეული, სამაგალითო ადგილი უჭირავს როგორც ევროკავშირის, ისე მსოფლიოში მშვიდობის დარეგულირების კონტექსტში. საუკუნეების მანძილზე ერთმანეთთან დაპირისპირებულმა ორი ქვეყნის ხალხებმა საერთო ენის გამონახვა მე-2 მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ თანდათან დაიწყეს და 1951 წელს, ევროპის კიდევ ოთხ სახელმწიფოსთან ერთად, მათ ევროკავშირის ფუძემდებლური გაერთიანება - „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება“ ჩამოაყალიბეს. სწორედ ევროპული იდეის განვითარება და შერიგება გახლდათ 1963 წელს ორ ქვეყანას შორის დადებული [„ელისეის ხელშეკრულების“](#) მთავარი მიზნები, რასაც თან ერთვოდა იმ დროს მსოფლიოში არსებული ამერიკული და საბჭოური გავლენების დაბალანსების საკითხი. ფრანგი და გერმანელი ერების შერიგების პროცესში განსაკუთრებული აქცენტი ორი ქვეყნის ახალგაზრდობის ერთმანეთთან დაახლოებაზე იქნა დასმული, რომლის ფარგლებში შეიქმნა არაერთი გაცვლითი აკადემიური თუ პროფესიული სახის წარმატებული პროგრამა. საბოლოო ჯამში, ფრანგულ-გერმანულმა შერიგებამ პრაქტიკულად ევროკავშირის 70 წლიანი მშვიდობიანი არსებობა განაპირობა და ევროპული გაერთიანება მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან გეოპოლიტიკურ მოთამაშედ აქცია.

წლებანდელი ფრანგულ-გერმანული მეგობრობის დღე იმითაც იყო გამორჩეული, რომ როგორც ზემოთ იქნა ხსენებული, ასევე აღინიშნა საფრანგეთსა და გერმანიას შორის 2019 წლის 22 იანვარს გაფორმებული [„აახენის შეთანხმება“](#). აღნიშნული არ ანაცვლებს საფრანგეთისა და გერმანიის მეგობრობის ფუძემდებლურ „ელისეის ხელშეკრულებას“, არამედ მიიჩნევა მის დამატებად ფრანგულ-გერმანული თანამშრომლობის გაძლიერებისთვის, 21-ე საუკუნის საერთო გამოწვევებთან გამკლავებისა და ევროპული პროექტის განვითარების აუცილებლობის ფონზე.

ფრანგულ-გერმანული მჭიდრო თანამშრომლობის უპირატესობა და საჭიროება არაერთხელ იქნა ხაზგასმული როგორც საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის მხრიდან მისი საპრეზიდენტო მანდატის დასაწყისიდანვე, ასევე გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის მიერ. მაგალითად, ემანუელ მაკრონმა 2018 წელს, როდესაც მას ანგელა მერკელის ინიციატივით, „შარლემანის სახელობის პრიზი“ გადაეცა ევროკავშირის განვითარების ამბიციურ გეგმებთან დაკავშირებით, [განაცხადა](#): „საფრანგეთსა და გერმანიას შორის ერთობა არის პირობა ევროპული ერთიანობის შესაძლებლობისა. იგი ერთადერთია, რაც მომავალი მოქმედების საშუალებას მოგვცემს“. მიუხედავად ამ და სხვა მსგავსი ტიპის განცხადებებისა ფრანგულ-გერმანული მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროებაზე, დღეს, საფრანგეთსა და გერმანიას შორის ევროკავშირის მომავალთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობაა. მათ შორის, გერმანია საფრანგეთს ნატოს „ტვიზის სიკვდილთან“ დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას საყვედურობს, ასევე არ ეთანხმება საფრანგეთის ვეტოს, რომელიც მან ჩრდილოეთ მაკედონიის და ალბანეთის ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების საკითხს დაადო.

დღევანდელი გეოპოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, სადაც სულ უფრო იკვეთება ჩინეთის, თურქეთის, აშშ-სა თუ რუსეთის განსხვავებული ინტერესები და რასაც თან ერთვის ევროკავშირის შიდა გამოწვევები „ბრექსიტის“ ფონზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება „ფრანგულ-გერმანული წყვილის“ ერთიანობას ევროკავშირის გაძლიერების პროცესში.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მომავალი

27 იანვარს, „რადიო თავისუფლების“ მიერ [გავრცელებული](#) ინფორმაციის თანახმად, საფრანგეთი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროექტის წევრი ქვეყნების ევროკავშირში გაერთიანების წინააღმდეგია. აღნიშნული მედიასაშუალება მოცემულ ინფორმაციას 2019 წლის ოქტომბრით და 2020 წლის იანვრით დათარიღებულ იმ ორ დოკუმენტზე დაყრდნობით ავრცელებს, რომელიც საფრანგეთმა ევროპულ კომისიას „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მომავალთან დაკავშირებით წარუდგინა ევროკავშირის მიერ გამოცხადებული საჯარო კონსულტაციის ფარგლებში. „რადიო თავისუფლების“ თანახმად, საფრანგეთი მიიჩნევს, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში პარტნიორობა ეფუძნება მხოლოდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას და

იგი „გამორიცხავს ევროკავშირში ინტეგრაციის ან წევრობის ყველა პერსპექტივასა და მექანიზმს“.



ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, საფრანგეთის რესპუბლიკას საკუთარი პოზიცია საჯაროდ არ დაუფიქსირებია, თუმცა, მან გერმანიასთან და პოლონეთთან ერთად, ვეიმარის სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატში,

გააკეთა განცხადება „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მომავლის შესახებ. ამა წლის 21 იანვარს, აღნიშნული ქვეყნების ევროპულ საკითხთა მინისტრების ერთობლივ განცხადებაში [ნათქვამია](#), რომ პოლონეთი, გერმანია და საფრანგეთი კიდევ ერთხელ გამოხატავს მზაობას „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროექტის განვითარებისა და სექტორული თანამშრომლობის გაგრძელების თაობაზე ისეთ სფეროებში, როგორცაა მაგალითად, *ახალგაზრდობა, გარემო ან კიდევ კლიმატის ცვლილება*.

გერმანიის, საფრანგეთისა და პოლონეთის აღნიშნული ერთობლივი პოზიცია „აღმოსავლეთ პარტნიორობასთან“ დაკავშირებით არსებითად მნიშვნელოვანია იქედან გამომდინარე, რომ გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ, ევროპის კავშირის მოსახლეობის თითქმის ნახევარს სწორედ ეს სამი სახელმწიფო წარმოადგენს.

რაც შეეხება საფრანგეთის უარყოფით დამოკიდებულებას ზოგადად ევროკავშირის გაფართოების საკითხთან დაკავშირებით, იგი აღნიშნულს ევროკავშირის შიგნით არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევებით და ევროპის კავშირის რეფორმირების აუცილებლობით ხსნის. სწორედ აქედან გამომდინარე დაადო მან ვეტო ჩრდილოეთ მაკედონიასთან და ალბანეთთან მათი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების საკითხს გასული წლის ოქტომბერში, რამაც ევროკავშირში მწვავე დისკუსიები გამოიწვია. საფრანგეთის აღნიშნულ პოზიციას არ იზიარებს ევროპული გაერთიანების წევრი ქვეყნების უმრავლესობა. უფრო მეტიც, ევროკავშირში ახალი ქვეყნების გაწევრიანების პროცედურების გაუმჯობესებისა და საფრანგეთის ზემოაღნიშნული ვეტოს დაძლევის მიზნით, ევროპულმა კომისიამ ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს ცვლილებების პროექტი უკვე [წარუდგინა](#). ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების ეროვნული ინტერესიდან გამომდინარე.

ბაჩო თორთლაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

ევროპის საბჭომ ახალგაზრდული სტრატეგია 2030 დაამტკიცა



ფოტო: <https://www.coe.int/en/web/youth/youth-strategy-2030>

2020 წლის 22 იანვარს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა [რეზოლუციით # \(2020\)2](#) დაამტკიცა ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის სტრატეგია 2030. დოკუმენტი 2020-2030 წლების ახალგაზრდული პოლიტიკის სახელმძღვანელო და სამოქმედო

რუკაა. სტრატეგიაში გაწერილია ზოგადი სახის პოსტულატები, რათა სრული დეკადის განმავლობაში შეინარჩუნოს დოკუმენტმა რელევანტურობა. სტრატეგია დაეფუძნება ახალგაზრდულ სექტორში ევროპის საბჭოს მიღწევებს, [განრიგი 2020-ის](#) განგრძობადობის იდეასა და მისი შედეგების ანალიზს, ევროპის საბჭოს ფართო მისიასა და ორგანიზაციის წევრი ქვეყნების შეჯერებულ ინტერესებს. დოკუმენტი ექვსი ძირითადი პუნქტისგან შედგება, რომლებშიც ჩაშლილია გაერთიანების ხედვები, მიზნები და მოლოდინები ახალგაზრდობის გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში. ევროპის საბჭო პრიორიტეტულად მიიჩნევს ორგანიზაციის მთავარი ღირებულებების- ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, დაცვისა და მხარდაჭერის, ასევე მათით სარგებლობის მიმართულებით ევროპის ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფას. სტრატეგია მთავარ მიზნად სახავს ახალგაზრდების უფლებებზე წვდომის გაძლიერებას, მათი ცოდნის გაღრმავებას და ჩართულობის უზრუნველყოფას.

სტრატეგიის მიღების შემდეგ დოკუმენტის ამოქმედების ცერემონიას ხელმძღვანელობდნენ ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი მარია პეჩინინოვიჩ ბურიჩი და საქართველოს პრეზიდენტობის წარმომადგენელი, ელჩი ირაკლი გივიაშვილი. მინისტრთა კომიტეტის პრეზიდენტობის ციკლში ეს ერთ-ერთი პირველი მასშტაბური ღონისძიება იყო და ნიშანდობლივია, რომ სწორედ საქართველოს პრეზიდენტობის პერიოდში დამტკიცდა ახალგაზრდობის სექტორის სტრატეგია. საქართველომ პოზიტიური როლი ითამაშა ახალგაზრდობის გამოწვევებთან დაკავშირებული დიალოგის ფასილიტაციაში. ქვეყანამ ორგანიზება გაუკეთა პირველ არაფორმალურ იდეათა გაცვლას ახალგაზრდობის თემაზე. საგულისხმოა, რომ ახალგაზრდების ჩართულობა საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთი [პრიორიტეტული მიმართულებაა](#). ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის სტრატეგია 2030 ხუთი, ორ წლიანი, სამოქმედო პროგრამისგან შედგება. 2020-2021 წლების სამოქმედო პროგრამის

პრიორიტეტებია უფლებებზე წვდომა, ახალგაზრდული მონაწილეობა და შრომა, ინკლუზიური და მშვიდობიანი საზოგადოებები. სტრატეგიის მიღება ხელს შეუწყობს დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდობის ჩართულობის წახალისებასა და მათ პრობლემებზე ეფექტურად კონცენტრირებისათვის საჭირო მექანიზმების შექმნას.

ევროპის საბჭო დამრღვევი წევრისთვის ახალ მექანიზმს ამოქმედებს

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

ფოტო: <https://www.coe.int/en/web/about-us/visual-identity>

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2020 წლის 29 იანვარს [მიიღო რეზოლუცია 2319 \(2020\)](#), რომლითაც დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტისა და საპარლამენტო ასამბლეის კომპლემენტარული, ერთობლივი პროცედურა წევრი ქვეყნის მიერ სადამფუძნებლო დოკუმენტის მძიმე დარღვევებზე საპასუხოდ. პროცედურის შემუშავების მიზანია ორგანიზაციის

ფუნდამენტურ პრინციპებთან წინააღმდეგობაში მყოფი ქვეყნის ქმედებების საპასუხოდ ეფექტური მექანიზმის შემუშავება. რეზოლუციის თანახმად პროცედურა

უნდა იყოს სანდო, განჭვრეტადი, რეაქტიული და ცვლილებებზე ორიენტირებული. ახალი მექანიზმი გულისხმობს საპარლამენტო ასამბლეის, მინისტრთა კომიტეტისა და დამრღვევი სახელმწიფოს სამხრისი ჩართულობით წარმართულ, წინასაწარ განსაზღვრულ და დროში გაწერილ პროცესს, რომელიც ორიენტირებულია წესდების წინააღმდეგ მოქმედი სახელმწიფოს სამართლებრივ სივრცეში დაბრუნებაზე. პროცედურის არსი [წესდების მე-8 მუხლით](#) განსაზღვრული პასუხისმგებლობის (წევრობის შეჩერება ან შეწყვეტა) თავიდან არიდება და ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტის მიზნების კეთილსინდისიერი შესრულება. ახალი წესი [1994 წელს მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ვალდებულებების შესრულების შესახებ რეგულაციის](#) პარალელურად იმოქმედებს.

აღნიშნული დოკუმენტის მიღებით ევროპის საბჭო ცდილობს დამრღვევი წევრების წინააღმდეგ დიპლომატიური მეთოდების გააქტიურებას, რათა თავიდან აირიდოს ისეთი რადიკალური ფორმების გამოყენება, როგორებიცაა წევრობის შეჩერება და შეწყვეტა. მას შემდეგ, რაც რუსეთს საპარლამენტო ასამბლეაში ხმის მიცემის უფლება აღუდგა, საინტერესოა რამდენად აქტიურად გამოიყენებს ახალ მექანიზმს ორგანიზაცია მის წინააღმდეგ.